



შირაკი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოცემის 1937 წლიდან

№18 (9.534)

25 მაისი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირაული გამოცემა

დედოფლისწყაროში ფრენტიანი საირიგაციო სისტემა დაინერგება



17 მაისს დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი კავკასიის გარემოსდაცვითი

არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN)-ის წარმომადგენლებს შეხვდა. CENN 2009 წლიდან,

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან (REK) ერთად,

ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ახორციელებს რეგიონულ პროექტს - „მინის რესურსების მდგრადი მართვა მინის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში.“ აღნიშნულ პროექტში, სამიზნე ტერიტორიების რანგში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ოთხი სოფელი: საბათლო, ფიროსმანი, სამთაყარო და ქვემო ქედია ჩართული.

შეხვედრა პროექტის ადგილობრივი კოორდინატორის, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის ანა ბენაშვილის ორგანიზებით მოეწყო.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შესახებ ისაუბრეს

პროექტის ეროვნულმა კოორდინატორმა ნინო თევზაძემ და პროექტის ექსპერტმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერმუშაკმა, პროფესორმა კობა კობალაძემ. სამიზნე სოფლების წარმომადგენლებმა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებთან ერთად, გაიარეს სატრენინგო კურსები მინის რესურსების მდგრადი მართვის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე. განხორციელდა სასკოლო პროგრამა-ჩატარდა კონკურსები და საგანმანათლებლო გაკვეთილები, ფერმერებს დაურიგდათ სატრენინგო მასალები და წიგნები კლიმატის ცვლილების ფონზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარების თანამედროვე ტექნოლოგიების და პრევენციული ღონისძიებების გატარების თემატიკაზე.

(გაგრძელება გვ.3)

თავისუფლების ქრონიკა

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღია

1800 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტი გამოსცა. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. გენერალმა კნორინგმა ქართველ ხალხს ჯარით გარემორტყმულ სიონში წაუკითხა იმპერატორის განაჩენი. ქვეყანა, რომელსაც თითქმის ათი საუკუნე მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმართებლის ხელში გადადიოდა.

იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს თვითმყოფადობას: გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართული წირვა-ლოცვა

რუსულით შეიცვალა; გაიძარცვა საეკლესიო სინამდებები, განადგურდა ძეგლები; რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში; განგებ ალვივებდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის; რუსეთში გადასახლეს ბევრი გამორჩეული მამულიშვილი, რომელთაც ხმა აიმაღლეს იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ; დაწესდა ცენზურა.

ქართველები უდრტინველად არ შეგუებიან დამოუკიდებლობის დაკარგვას, მაგრამ აჯანყებებსა და შეთქმულებებს რუსეთის უზარ-

მაზარი იმპერიის წინააღმდეგ შედეგი არ მოჰყოლია. ქართველებმა დროებით ჩააგეს ხმლები და, წარსულის სევდით განმსჭვალულებმა, მწერლობაში ჰპოვეს ნავსაყუდელი. ასე დაიწყო საქართველოში რომანტიზმის ხანა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, - ლელთ ლუნიას ეს სიტყვები მთავარი იდეად გასდევდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებას. „ურის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივინყებს“, ამიტომაც თერგდალეულები ყოველნაირად ცდილობდნენ ეროვნული სულის გაღვივებას, თითქოს მომავალი დამოუკიდებლობისთვის ამზადებდნენ ქვეყანას. შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი, დააფუძნეს ქართული სათავადაზნაურო ბანკი. 1905 წლიდან კი უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

ისევე, როგორც ყველა სხვა იმპერიაში, მეფის რუსეთმაც ამოწურა თავისი ძა-

ლები. სახელმწიფოს შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობები 1917 წლის რევოლუციაში გადაიზარდა და საბოლოოდ დაასამარა რომანოვთა სამასწლიანი დინასტია. რუსეთს კავკასიისთვის აღარ ეცალა. საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917 წლის მარტში სიონის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

(გაგრძელება გვ.4)

კვლავი ავარიული შენობის აღმოჩენა ითხოვენ



83.5

უმრავლესობის წევრები სამთაყაროსა და ქვემო ქედში



83.3

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლანების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი - ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვებან ვერ ნაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

მიხეილ სააკაშვილი რეიგანის საპრეზიდენტო ფონდს ეწვია

24 მაისს საქართველოს პრეზიდენტის ამერიკის შეერთებულ შტატებში რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკასა და მუზეუმში უმასპინძლეს, სადაც საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 20-წლიანი პარტნიორობის იუბილე და საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა.

რეიგანის საპრეზიდენტო ფონდში ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკის მეორე მოქმედ პრეზიდენტის რონალდ რეიგანის საფლავი მოინახულა და მუზეუმში დაცული ბერლინის კედლის ნანგრევები დაათვალიერა. მიხეილ სააკაშვილმა მსოფლიოში ცნობილი "ბორტი ნომერი ერთის" პავილიონიც მოინახულა. საქართველოს პრეზიდენტმა დაათვალიერა ის ბოინგი, რომლითაც რონალდ რეიგანმა 660 ათასი მილი იფრინა 26 ქვეყნისა და ამერიკის 46 შტატის გასვლაში.

საქართველოს პრეზიდენტი რონალდ რეიგანის სახელობის ბიბლიოთეკაში სიტყვიერებას გამოვიდა. მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას შეერთებული შტატების პოლიტიკური

და საქსპერტო წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საქართველოს პრეზიდენტი დარბაზში შეკრებილ სტუმრებს რეიგანის საპრეზიდენტო ფონდის ხელმძღვანელმა და სენატორმა დევიდ დრეირმა წარუდგინეს.

მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას იმ მთავარ ღირებულებებზე ისაუბრა, რომელიც შეერთებული შტატების მეორე მოქმედ პრეზიდენტისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებდა და რომელსაც თავისუფალი სამყარო და საქართველო დღემდე იზიარებს. მიხეილ სააკაშვილის თქმით, რონალდ რეიგანი მაშინდელ მსოფლიოში თავისუფლების, იმედისა და ოპტიმიზმის სიმბოლო იყო და მისი მთავარი ფასეულობა - თავისუფლებისთვის ბრძოლა ქართველი ხალხისთვის დღეს მთავარი ღირებულებაა.

- „ყველა ჩვენგანისთვის, ვინც რკინის ფარდის მიღმა იყო, ვინც დაყოფილ ევროპაში ცხოვრობდა, რონალდ რეიგანი ჩვენი თავისუფლების ინიციატორად დარჩება. ის დიდი, ერთიანი და თავისუფალი ევროპის ინიციატორია“, - განაცხადა პრეზიდენტმა.


საქართველოს სკოლებში ჭადრაკის სწავლების კომპიუტერული პროგრამა დაინერგება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა და მსოფლიოს თერთმეტგზის ჩემპიონმა ჭადრაკში გარი კასპაროვმა დღეს შემოინახეს მოანერგეს ხელი. ხელმოწერას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე დაესწრნენ.

მემორანდუმი მოზარდთა შორის ჭადრაკის პოპულარიზაციასა და საქართველოს სკოლებში პროგრამის დანერგვას ითვალისწინებს. პროგრამა კომპიუტერულია და მის შექმნაზე კასპაროვთან ერთად, ევროპის საჭადრაკო ლიგაც მუშაობდა. საქართველო პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ეს მეთოდი დაინერგება. ახალი პროგრამა 2012 წლის სექტემბრიდან ამოქმედდება და იგი ჭადრაკის პოპულარიზაციის გარდა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს.

გარი კასპაროვი მიიჩნევს, რომ ჭადრაკი არის არა სპორტის სახეობა,

არამედ განათლების სისტემის გაუმჯობესების ახალი და იაფი საშუალება. იგი მოზარდებში ინტელექტუალური აზროვნებისა და ლოგიკის განვითარებას ემსახურება. "როცა ბავშვის აღზრდაში ჭადრაკი ერთვება, მას სამყაროზე უკეთესი წარმოდგენა ექმნება და აზროვნებას იწყებს, რადგან ჭადრაკის თამაში ანალიზს მოითხოვს. გარდა ამისა, ის ბავშვს პასუხისმგებლობას, სიფრთხილესა და დადგენილი წესების მკაცრად დაცვას აჩვენებს, რაც საბოლოოდ სწავლის ხარისხზე აისახება... ჭადრაკის სწავლების და-



თბილისში ათონის მთიდან ივერიის ღვთისმშობლის ხატი ჩამოაბრძანეს



თბილისში ათონის მთიდან ივერიის ღვთისმშობლის ხატი ჩამოაბრძანეს. ხატი ივერიის მამათა მონასტერში დაინერგა. ხატს დროებით ყაზანის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დაასვენებენ, შემდეგ კი ლაგოდეხის მონასტერში ნააბრძანებენ, რომელიც მშენებლობის პროცესშია.

ხატის ჩამოაბრძანებას, მრევლთან ერთად, ნეკრეღვთისმშობლის სახელობის ეპარქიის მიტროპოლიტი, მუფე სერგი დაესწრო.

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელმძღვანელობა FIFA-ს ამხანაგური მატჩების ჩატარების ნებართვას სთხოვს

აფხაზეთის არალეგიტიმური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ FIFA-ს თხოვნით მიმართა, რათა ამხანაგური მატჩების გამართვის უფლება მიეცა. ამის შესახებ რუსულ გამოცემებს აფხაზეთის ე.წ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯამალ გუბაშმა განაცხადა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ლადო ვარძელაშვილის განცხადებით, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მოთხოვნა არარეალურია.

"მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოება ალიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველო ყველა ორგანიზაციაში ერთიან სუბიექტად არის დაფიქსირებული და ჩვენს გარეშე აქ ვერავინ ვერაფერს ვერ ჩაატარებს". - განაცხადა ვარძელაშვილმა.

სავარაუდოდ, ამ ნაბიჯისკენ აფხაზებს კოსოვოს მაგალითმა უბიძგა. FIFA-ს კოსოვოს ნაკრებს ამხანაგური მატჩების გამართვის ნება დართო. ფიფას ეგიდით დღესთვის მხოლოდ გაეროს წევრი ქვეყნების ნაკრებები თამაშობენ.

ფერმერთა საყურადღებოდ!

კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus) ახორციელებს პროექტს "აგრო-მეტყველობის კონცეფციის შემუშავება საქართველოში" გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში იგეგმება ნუშის პლანტაციის გაშენების კონცეფციის შემუშავება. სადემონსტრაციო საქმიანობის განხორციელება იგეგმება დედეფლისწყაროს დაბალი ზონის (მდინარე ალაზნის გასწვრივ) სოფლებში.

დაინტერესებულ ფერმერს, რომელსაც აქვს 1 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი და დაინტერესებულია მონაწილეობა მიიღოს საპილოტე პროექტის განხორციელებაში გთხოვთ გამოგზავნოთ ინფორმაცია - სახელი, გვარი, საკონტაქტო დეტალები: მისამართი, ტელეფონის ნომერი შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 23. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი, ტელ: 2253649, ქეთი ჯიბლაძე (მობ. 577797100)

ელ.ფოსტა: keti.jibladze@rec-caucasus.org

პირველი ავგისტოდან საქართველოს მოქალაქეები ახალი ტიპის მართვის მოწმობებს აიღებენ



პირველი ავგისტოდან საქართველოს მოქალაქეები ახალი ტიპის მართვის მოწმობებს აიღებენ. მოწმობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნება და მისი გამოყენება ქვეყნის საზღვრებს გარეთაც იქნება შესაძლებელი.

მოწმობის აღება ნებაყოფლობითია. იცვლება ის, რომელიც მოწმობის ვიზუალური მხარე, ასევე მისი ფუნქციები, სხვადასხვა ტიპისა და სიდიდის ავტომობილების მართვა ქვეკატეგორი-

სტამბულში გარდაცვლილ ქართველებს საქართველოში ექსპრტიზის შემდეგ გადმოასვენებენ

სტამბულში მონამვლის შედეგად გარდაცვლილი ორი ქართველის, უჩა ბერიძის და გოჩა მარშანიას ცხედრები სტამბულის ერთ-ერთ პროზექტურაშია გადასვენებული. როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს გენერალურმა კონსულმა სტამბულში ზურაბ პატარაძემ განუცხადა, ცხედრებს ჩაუტარდება ექსპრტიზა და მისი დასრულების შემდეგ დალუპულეს საქართველოში გადმოასვენებენ.

ზურაბ პატარაძის განცხადებით, საკონსულო მუშაობს დოკუმენტაციის მოგვარებაზე და ქართველების სამშობლოში დროულად გადმოსვენებაზე. მისი თქმით, მიმდინარეობს ასევე მუშაობა სამართალდამცველებთან, ქართველების გარდაცვალების ზუსტი მიზეზების დადგენასთან დაკავშირებით.

პატარაძის განცხადებით, სტამბულის ერთ-ერთი საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება კიდევ ორი ქართველი და მათ ინტენსიური თერაპიული კურსი უტარდებათ.

ალკოჰოლით მონამვლის გამო თურქეთში ორი ქართველი გუშინ დაიღუპა. თვითმხილველების განცხადებით, ქართველები ერთ-ერთის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ და სპირტიანი სასმელით მოინამლნენ. ორი მათგანი ადგილზე გარდაიცვალა, დანარჩენების გადარჩენა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ შეძლო. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ქართველები თურქეთში სამ თვეში ერთხელ სამუშაოდ ჩადიოდნენ.

უმრავლესობის წევრები სამთაწყაროსა და ქვემო ქედში



18 მაისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებს: სამთაწყაროსა და ქვემო ქედს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ბოტკოველი, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი ბობოხიძე, დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ ლეკაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესტუმრნენ. მოსახლეობასთან შეხვედრაზე განიხილეს ისეთი საჭიროებები, როგორცაა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, დასაქმებისა და სოციალური პრობლემები. ასევე იმსჯელეს სოფელში არსებულ სირთულეებზე და მათი მოგვარების გზებზე.



დედოფლისწყაროში ფართოვანი საირიბაცით სისტემა დაინერგება

(პირველი გვერდიდან)
სულ ახლახანს კი სოფელ ფიროსმანში დაიწყო საპილოტე პროექტი „თესლბრუნვის პრაქტიკისა და წვეთოვანი რწყვის სისტემის დანერგვა სახნავი მიწების დეგრადაციის პრევენციისა და შერბილების მიზნით“. სტუმრებმა შეხვედრის მონაწილეებს მოკლედ გააცნეს პროექტის მიზნები და დაგეგმილი საქმიანობები. საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილმა მისთვის საინტერესო საკითხებზე მიიღო პასუხები და პროექტის მხარდასაჭერად მზადყოფნა გამოხატა.
შეხვედრას ესწრებოდნენ: გელა თეთრაული, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე (პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი),

ალექსანდრე ალუღიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ილია კვანჭილაშვილი, გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი, ეკაციაკურიძე, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების და საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილე-



ბის უფროსი, ლალი მანგოშვილი, ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტი და ოთარ ხოზრევანიძე, სოფელ ფიროსმანის ტერიტორიული ორგანოს თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული. იმავე დღეს სტუმრები, სო-

ფელ ფიროსმანში გაემგზავრნენ და პროექტში მონაწილე ფერმერებს შეხვდნენ. ისაუბრეს პროექტის დეტალებზე, დაათვალიერეს წვეთოვანი სისტემის მოსაწყობად შესარჩევი საკარმიდამო ნაკვეთები, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, საჭირო პარამეტრების გათვალისწინებით, თავად ფერმერებს მიანდეს, რომლებმაც გაიარეს კონსულტაციები ბატონ კობა კობალაძესთან და შეარჩიეს ყველაზე გაყიდვადი ბოსტნეული და მრავალწლიანი კულტურები. მათ გადაეცათ, ასევე, სატრენინგო მასალები. უახლოეს დღეებში დაიწყება პრაქტიკული საშუაობები, რომელსაც კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაცია „დედოფლისწყაროს რეგისტრირებული კავშირი-„აგრარული და გარემოსდაცვითი ასოციაცია“ განახორციელებს.

„ქიზიყის ისტორიული კულტურული მემკვიდრეობანი“

17 მაისს საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ ორგანიზებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ვაშლოვანის ნაკრძალის რეზიდენციაში მოხდა „ქიზიყის ისტორიული კულტურული მემკვიდრეობანი“ და თეოკულტურული არსის საკითხებზე დაინტერესებულ საინიციატივო ჯგუფის წევრთა შეხვედრა.
შეხვედრას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ ლეკაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გიორგი ყორჩიაშ-

ვილი, ქალაქ დედოფლისწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული სოსო უზუნაშვილი, დეკანოზი ნიკოლოზი, საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარი“-ს თავმჯდომარე ვახუშტი ქიზიყურაშვილი, მამა ავთანდილ გიორგობიანი, ფუსტელთა სკოლა — მუზეუმის წინამძღვარი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ენთუზიასტი მკვლევარები.
შეხვედრაზე ქიზიყის შესახებ არაერთი საინტერესო ისტორიული ფაქტი მიმოიხილეს და სამომავლო გეგმებსაც ჩაუყარეს საფუძველი, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდება.



თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა

(პირველი გვერდიდან)

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები - მენშევიკები, რომელთაც მანამდე რუსეთის დროებით მთავრობაში სხვადასხვა პოსტი ეკავათ. რევოლუციურ პეტერბურგთან შედარებით თბილისი ოაზისს ჰგავდა, მაგრამ პრობლემებმა აქაც მალე იჩინა თავი. რუსეთის ახალ ხელისუფლებას აღარ სურდა გერმანიასა და თურქეთთან ომის გაგრძელება. კავკასიის ფრონტი დაიშალა, საქართველოს კი თავისი არც ხელისუფლება ჰყავდა და არც არმია, თავი რომ დაეცვა.

მენშევიკებმა 1918 წელს მოინვიც სეიმი, რომელსაც ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის მართვა უნდა ედო თავს. სეიმმა გამოაცხადა, რომ ამიერკავკასია რუსეთს გამოეყო. მაგრამ ჩრდილოელმა მეზობელმა „საჩუქარი“ მოუმზადა თავისუფლების გზაზე შემდგარ ქვეყნებს. საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში დადო ზავი, რომლითაც ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქებს გერმანიის მოკავშირე თურქებს უთმობდა.

თურქებთან მოსალაპარაკებლად ბათუმში ახალშექმნილი სეი-

მის მრავალეროვანი დელეგაცია ჩავიდა. მოლაპარაკება, რალა თქმა უნდა, უშედეგო აღმოჩნდა. თავი იჩინა ამიერკავკასიის ქვეყნების ინტერესთა სხვადასხვაობამაც: თუ საქართველო და სომხეთი ვერ ეგუებოდნენ თავიანთი მიწა-წყლის დაკარგვას, აზერბაიჯანი ერთმორწმუნე თურქეთთან წინააღმდეგობას არ აპირებდა.

როცა საკითხის მოგვარების ყველა იმედი ამოიწურა, ქართულმა დელეგაციამ გამოიხატა გადარჩენის ერთადერთი გზა - დამოუკიდებლობა. საქართველო არ ცნობდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს და გერმანიის მოკავშირე გახდებოდა, ხოლო გერმანიის მეორე მოკავშირე, თურქეთი, იძულებული იქნებოდა, შეეგუებოდა ვითარებას.

სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პროგრამა ეროვნული იდეალებისგან შორს იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნის ექვსმა თვემ მათ ცხადად დაანახა, რომ არავითარი ზოგადსაკაცობრიო იდეა არ იდგა მამულიშვილურ ვალზე მაღლა.

აი, რას წერდა მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე ზ. ავალიშვილი: „ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვესმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი, როგორ

არ ყურადგველო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია, აღარ არის... აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკაკუნა და როგორ არ შევეგებოთ ალტაცებით! თუ ეს წუთი გავუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა!..“

და 1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ეწერა ის, რაზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა უამრავი მამულიშვილი:

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

70 წლიანი კომუნისტური დიქტატის დამხობის შემდეგ, 1991 წლის 31 მარტს, საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი გადამწყვეტილებით,



საქართველომ დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი დაიბრუნა. ამავე წლის 9 აპრილს დამოუკიდებელი საბჭოს პირველ სესიაზე ძალაში შევიდა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, ხოლო 26 მაისს ქართველმა ერმა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია აირჩია.

ოცი წელია, ვზეიმობთ 26 მაისს და ვცდილობთ, პატივი მივაგოთ და გავიხსენოთ სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული გმირები...

მოამზადა
მიხეილ მღებრიშვილმა

თუ დავჭირდი მე ჩემს მამულს თავზე უამოვავლავდი

ხვალ 26 მაისია - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. დღეს კი - 25 მაისს, ჩვენ კვლავ ქ. დედოფლისწყაროს №3 საბავშვო ბაღში ვართ. შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რა ხშირ-ხშირად წერენ ამ ბაღზე, სხვა ბაღებზე ხომ არსებობსო, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ვინც აკაკუნებს, კარს მას უღებენ. ჰოდა, მესამე ბაღელები ცდილობენ ითანამშრომლონ რედაქციასთან, გვატყობინებენ თავიანთი მუშაობის შესახებ. თანაც ისეთ ეფექტურ ღონისძიებებს ატარებენ, ალტაცებას ვერ ვფარავთ. ასე იყო ამჯერადაც. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება დღეებით - „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე“. ეროვნულ ტანსაცმელში გამოიწყობილმა თვალხატულა გოგონებმა და ვაჟებმა სამშობლოს დიდი სიყვარულით და მისი ისტორიის ღრმა ცოდნით წარმოგვიდგინეს. სამშობლოს მცნება, მამულის სი-

ყვარული გამოსჭვივდა თითოეულ ფრაზაში. თემატურად შერჩეული ლექსები, სიმღერები, ეროვნული ცეკვები სამშობლოს სიყვარულის მუხტს აღვივებდა არა მხოლოდ მათ პატარა გულელებში, არამედ თითოეულ მსმენელშიც.

სამშობლოს სიყვარული მხოლოდ დედის სიყვარულის თანასწორია, ამიტომაც ვუნოდებთ მას დედა-სამშობლოს - მჭექარედ ამბობენ და საქართველოს შემადგენელ კუთხეებს, მათი ზნე-ჩვეულებებით და ადათ-წესებით, ცალკე-ცალკე წარმოგვიდგინენ, თან ჩონგურზე დაჰმღერებენ: ჩონგურს სიმები ავუბიო... ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, სხვადასხვა ქვეყნის შვილები, ოდელა დელა დელაო და... ერთი მათგანი რომ განწყდეს, მაშინვე უნდა შეველაო! საშველად კი მზად არიან - თუ დავჭირდი მე ჩემს მამულს, თავზე შემოვევლებიო - და ისე ამბობენ ამას, გგონია, ახლავე იშიშ-

ნად უმღერებენ. ქართულ არმიას კი ბრძოლის ყიჟინა წინაპართაგან ესმის. ესმის დავითისგან, თამარისგან, დემეტრე თავდადებულისგან, გიორგი ბრწყინვალესგან, ერეკლესგან...

თავიანთ სათქმელს, თითო წმინდა სანთელს უნთებენ უფალს და ბედნიერ ბავშვობას და უღრუბლო ზეცას ნატრულობენ.

როგორც ყოველთვის, უფროსი ჯგუფის პედაგოგი ნანა სეხნიაშვი-



„ღმერთო დაიფარე, ჩემი საქართველო, გამიხალისე გული, ღმერთო, გამიბრწყინე ჩემი იხურია, გამინეტარე სული!“

- შესთხოვეს უფალს შემწეობას და სჯერათ, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, წმინდა ნინოს ვაზის ჯვარს ნაზიარები ხალხი, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით არ გადაშენდება. დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს, გამთლიანდება და გაძლიერდება. ამიტომ აგუგუნებენ სწორედ ერთხმად მრავალყამიერს და მკერდზე ხელმიდებულები საქართველოს ჰიმნით აგვირგვინებენ

ლი, მუსიკის მასწავლებელი ხათუნა ჯანაშვილი და ქორეოგრაფი ელზა ჩახვაძე პირნათლად წარსდგნენ სტუმრებისა და მშობლების წინაშე, რომლებმაც მოიწონეს წარმოდგენილი ღონისძიება და მადლობა გადაუხადეს მათ. საბავშვო ბაღის გამგე მათა გონაშვილი და მამსწრეთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლები.

ნაირა გორაშვილი



ვ ლ ე ბ ს ხმალს ეს შ ა ვ ჩ ო - ხ ი ა ნ ი „ვაჟკაცი“ და მ ტ ე რ ს შ ე ე ბ - მე ბ ა ო . მტერთან შესაბამე ლ ა დ მ ზ ა დ ა რ ი ს ქ ა რ თ უ - ლ ი ა რ - მ ი ა , რ ო - მ ე ლ ს ა ც ბ ა ვ შ ვ ე ნ ი ო მ ა ხ ი ა -

კელაბობები ავარიული შენობის დემონტაჟს ითხოვენ

სოფელ მირზაანის საჯარო სკოლის პედაგოგები სკოლის ეზოში ავარიული შენობის დემონტაჟს ითხოვენ. მათი თქმით, ეზოში არსებული ასნლოვანი შენობა მოზარდების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის და დიდია ალბათობა, ნებისმიერ დროს ჩამოიშვას. ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ გახშირებულია წვიმებმა შენობის კედლებზე ბზარები კიდევ უფრო გაზარდა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, სკოლის ახლანდელი შენობის აგებამდე სოფლის სკოლა იმავე ეზოში მდებარე ძველ შენობაში იყო განთავსებული. ამჟამად შენობა უფუნქციოდ და დარჩენილი და დემონტაჟს საჭიროებს. უამინდობა კი საფრთხის ალბათობას ყოველდღიურად ზრდის.

„შირაქმა“ გვაქვს, რომ ბავშვები ამ შენობაში არ შევიდნენ და მოულოდნელად ტრაგედია არ განმეორდეს. მოგვსვენებათ, რამდენიმე თვის წინ, თელავის ერთ-ერთ სკოლაში ძველი შენობის ჩამოგრევა მოზარდის გარდაცვალება მოჰყვა. ამის გამო დასვენებაზეც არ ვაძლევთ ბავშვებს უფლებას, რომ ეზოში თავისუფლად ითამაშონ. შესვენების დროსაც ვერ ვტოვებთ უყურადღებოდ და სპეციალურად ვმორიგებთ. გაას-

მაგებული მეთვალყურეობა გვაქვს, მაგრამ ყველაფერი ხდება, ბავშვს ვერ დააკავებ. რაც სკოლის ახალი შენობა აშენდა, მას შემდეგ ეს ასე უფუნქციოდ დარჩა. წინა მხარე სულ ჩამოშლილია, კედლები გარღვეულია“, - განუცხადა გადავთ „შირაქს“ სკოლის პედაგოგმა ნაირა ყოჩიაშვილმა.

მირზაანის სკოლაში განმარტავენ, რომ სახიფათო შენობის დემონტაჟის ნებართვის თაობაზე მათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უკვე გაგზავნეს სპეციალური წერილი, სადაც მინისტრ დიმიტრი შაშკინს პრევენციული ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარებას სთხოვენ.

სოფელ მირზაანში რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ სკოლამ ფუნქციონირება 2011 წლის სექტემბრიდან განაახლა. სოფელ მირზაანის სკოლას დამოუკიდებელი სტატუსი არ აქვს, ის სოფელ ზემო მანხანის საჯარო სკოლის დაქვემდებარებაში რჩება. სკოლის დახურვა მირზაანში მიგრაციის დაწყების მთავარ მიზეზად იქცა. ამ წუთისთვის სკოლაში 27 მოსწავლე ირიცხება, სკოლის დახურვის დროს კი 80 მოზარდი სწავლობდა. მირზაანელი პედაგოგები ფიქრობენ, რომ თუკი ამჟამად სკოლა

მანხანის საჯარო სკოლას გამოეყოფა, ამჟამინდელი კონტინგენტი გაორმაგდება. სკოლის მასწავლებლები „შირაქთან“ საუბარში აცხადებენ, რომ ამჟამად თბილისიდან ბევრს უნდა სოფელში დაბრუნება. თუმცა, იმის გამო, რომ ზოგიერთი კლასი არ არის, ამიტომ ვერ ხერხდება.

„ახლახან ერთი ოჯახი რუსთავიდან მირზაანში დაბრუნდა. უფროსი მეხუთე კლასში შემოიყვანეს, უმცროსი შეილი კი მეორეში. ეს ორივე კლასი ჩვენთან არსებობდა და ამიტომ მოხერხდა, თორემ მეთორმეტე კლასში გადმოსვლის მსურველი ჯერ ვერ ახერხებს“, - აცხადებენ პედაგოგები.

სკოლის გახსნამდე მირზაანში მცხოვრებ ახალგაზრდებს განათლების მისაღებად ყოველდღიურად მეზობელი სოფლის, ზემო მანხანის საჯარო სკოლაში სიარული და კილომეტრების გავლა უწევდათ. სოფლის მოზარდების ნაწილი ისევ ზემო მანხანის სკოლაში ირიცხება.

კონტინგენტის სიმცირის გამო ასაკობრივი ფაქტორის გათვალისწინებით, ამჟამად მოსწავლეებს კლასკომპლექტებში უწევთ სწავლა (1-2, 3-4 და 5-6). მომავლისთვის, კონტინგენტის ზრდასთან ერთად, კლასები დაცალკედება და სკოლაც დამოუკიდებელი გახდება.

2006 წელს სოფელ მირზაანის საჯარო სკოლა ოპ-

ტიმიზაციის პროგრამის შედეგად დაიხურა და სოფელ ზემო მანხანის სკოლას შეუერთდა. ამჟამად, სკოლის აღდგენის შემთხვევაშიც მირზაანის სკოლა კვლავაც ზემო მანხანის სკოლის დაქვემდებარებაში დარჩება, თუმცა, სასწავლო პროცესი სოფელ მირზაანში წარიმართება.

თავის დროზე, მირზაანში სკოლის გაუქმების ერთ-ერთ მიზეზად მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირე დასახელდა, თუმცა ამჟამად კონტინგენტის სიმცირის პირობებში სკოლის აღდგენის აუცილებლობა ისევ წარმოიჭრა.

ადგილობრივმა მოსახლეობამ სკოლის აღდგენის მოთხოვნით საპროტესტო აქციები რამდენჯერმე გამართა, წერილობითი მოთხოვნა არაერთ უწყებაში გაიგზავნა, თუმცა უშედეგოდ. სოფლის მაცხოვრებლები აცხადებენ, რომ ნიკო ფიროსმანის მშობლიურ სოფელში სკოლის არარსებობამ მირზაანის დაცლის საფრთხის წინაშე დააყენა. სკოლის გაუქმების შემდეგ, სოფელი არაერთმა ოჯახმა დატოვა. ნაწილი საცხოვრებლად დედაქალაქში გადავიდა, ზოგამაც სხვა გამოსავალი მოძებნა.

ილია მარტყოფლიშვილი



მუზეუმს მეტი ყურადღება სჭირდება

მუზეუმების საერთაშორისო დღეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ვესტუმრე. მუზეუმის დირექტორი ლია ბაიდოშვილი მასპინძლის ამპლუაში დამხვდა. პროფესიული დღესასწაულის მილოცვის შემდეგ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმზე ვინყებთ საუბარს. 35 წელზე მეტია, რაც რაიონში ეს მუზეუმი არსებობს. ის 1975 წელს დაარსდა და დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ძვ. წ. VI-I სს-დან გვიანფეოდალურ ხანამდე) აღმოჩენილ თიხისა და ბრინჯაოს მასალას, ნუმიზმატიკას (VI ს. ვერცხლისა და ოქროს სასაწერი მონეტები, ქართული, ჰულაგოიდური, რუსული, გერმანული მონეტები), ეთნოგრაფიულ მასალებს (ქიზიყური ფარდაგები, ხურჯინები, ვეჯიმიები, ფიანდაზი, ოქრომკედით ნაქარგი ყაჯარი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები), XX ს-ის ქართველ მხატვართა ფერწერულ ნამუშევრებს იცავს და ინახავს. ხშირად ტარდება გამოფენები - მუზეუმის ისტორიას მაცნობს ქალბატონი ლიანა. ის, რასაც ის მუზეუმება, მხოლოდ მშრალი ციფრებია, მათ უკან კი უამრავი ადამიანის უჩინარი შრომა იმალება, თითოეულ ექსპონატს თვალისწინებით რომ უფრთხილდებიან და ყოველდღიურად უვლიან.

- ბევრს მიაჩნია, რომ მუზეუმი ცოცხალი ორგანიზმი არაა და მას მუდმივი განახლება და ზრუნვა არ ესაჭიროება. არადა, ფაქტია, ისტორიის შენახვის ფუნქციის გარდა მას მომავალი თაობისთვის ჩვენი კულტურის გაცნობის ფუნქციაც აკისრია...

- სხვათა შორის, ბევრი სკოლის მოსწავლე თუ სტუდენტი მოდის მუზეუმში და საკონფერენციო თემების დასამუშავებლ მასალებს ტურნიზმის, ისტორიუ-

ლი ძეგლების შესახებ ჩვენგან იღებენ. მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები მუდმივ ძიებებში არიან, რათა რაც შეიძლება საინტერესო მასალები მოიძიონ დედოფლისწყაროს შესახებ.

- მუზეუმს წლების განმავლობაში ანუ ხე ბა პრობლემები, კერძოდ, შენობის ქერიდან წყალი ჩამოდიოდა, რის გამოც შენობის ერთი ნაწილი მუდმივად იყო დანესტილი და ზიანდებოდა აქ დაცული უნიკალური ექსპონატები. რა სიტუაციაა დღეს?

- ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. მათ მუზეუმის ქერისა და საექსპონიციო დარბაზის შესაკეთებელი თანხაც გამოგვიყვეს და კომპიუტერიც გადმოგვცეს, რათა ექსპონატების ნუსხის ელექტრონული ბაზა შევქმნათ. ვცდილობთ, თანამედროვე ცხოვრებას ჩვენც ავუწყოთ ფეხი.

ლიან, მუზეუმის თანამშრომლები ნაკლებად ნუნუნებენ, თუმცა... მათი სიტყვების მიღმა მაინც იკითხება მცირე საყვედური და სურვილი, რომ ისტორიაზე მზრუნველ ადამიანებსაც სჭირდებოდა ზრუნვა.



ჩვენი დოსიე:

მუზეუმი (ბერძ. μουσειον) - მუზათა ტაძარი, როგორც წესი, საზოგადოების განვითარების სამსახურში მყოფი მუდმივი ინსტიტუტია და ღია ფართო საზოგადოებისთვის. მუზეუმი შესწავლის, განათლების მიზნით ან ვიზუალური სიამოვნებისთვის იძენს, ინახავს, იკვლევს და გამოჰყვანს ადამიანთა შემოქმედებისა და მათი გარემოს აღმწერ ფაქტებზე არსებულ მნიშვნელოვან მასალას.

მუზეუმები გალერეებისგან განსხვავებით, როგორც წესი, ფინანსური მოგებისთვის არ არსებობენ. მუზეუმი შეიძლება იყოს სამთავრობო, არასამთავრობო ან

არა-მომგებიანი, და ასევე კერძო ან საოჯახო.

ადრეული მუზეუმები შეიქმნა, როგორც სამეფო ან საგვაროვნო კოლექციები, სადაც მათ მფლობელობაში მყოფი ხელოვნების მინუშები ან საუცხოო ნამუშევრები შედიოდა. ასეთ გამოფენებს საკვირველებათა ოთახებს ან საინტერესო საგანთა კაბინეტებს უწოდებდნენ.

მუზეუმის ექსპონატები კოლექციაში სხვადასხვა საშუალებით ჩნდება. თავად მუზეუმმა ან მასთან ასოცირებულმა ინსტიტუტმა შეიძლება ორგანიზება გაუკეთოს ექსპედიციებს მუზეუმისთვის მეტი მასალის ან დოკუმენტაციის

მოსაპოვებლად.

უფრო ხშირად კი, მუზეუმები შეისყიდნიან ექსპონატებს, გაცვლის საშუალებით ან კიდევ საჩუქრის სახით იღებენ მათ, მაგ. ანდერძით. მაგალითად, იმპრესიონისტთა ხელოვნებით სპეციალიზებული მუზეუმმა შესაძლოა საჩუქრად კუბისტური ნამუშევარი მიიღოს, რაც არ ჯდება მუზეუმის გამოფენების ჩარჩოებში, თუმცა მას შეუძლია ეს ნამუშევარი გამოიყენოს საკუთარი გამოფენების ფოკუსის ნამუშევრის მიღებაში (მაგ. გაყიდვით, გაცვლით, და ა.შ.).

დიდ მუზეუმებს ჰყავთ ე.წ. შესყიდვების განყოფილება, რომელთა სრული დატვირთვა ამგვარი სახის საქმიანობაა.

ბოლო დროს ინტერნეტის სწრაფ განვითარებასთან ერთად გაჩნდა მუზეუმის ახალი ტიპი - ვირტუალური მუზეუმები. ამგვარ მუზეუმებში „გამოფენილი“ ნამუშევრები ვირტუალურია, ხოლო მათ პატრონთა საკუთრებაში არცერთი ექსპონატი არ შედის.

მუზეუმთა რაოდენობით ნამყვანია ფინეთი. როგორც ამბობენ, ამ ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტი მუზეუმი მოდის, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

ინგა შიოლაშვილი

გაღეპი პირთი გოჯი მიწა მილიონად დაფასდება!

დღით ჩემს სახლთან ავტო-მანქანა ჩერდება, მანქანაში ვჯდები და გეზს ნიკო ფიროსმანაშვილის მშობლიური სოფლისკენ, მირზაანისკენ ვიღებთ. იცით, რა ლამაზია მხატვრის ეზო და მისი შემოგარენი წელიწადის ამ დროს?! ირგვლივ ყველამდე მწვანე ბალახია და ნითლად ანთია ბრონეულები.

მასპინძელი - ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი ნელი გობეჯიშვილი ჩვეული ენერგიით და ხელგაშლით გვიღებს. ამინდმა და გარემო პირობებმა ხომ დიდი პატივი დაგვდო, თავკარა მზე ძალუმად ცდილობდა შემოეღწია ხეების ფოთლების ჩრდილში. ირგვლივ ყველაფერი ხარობდა და ზეიმობდა, თითქოს ფიროსმანის სული დღეობდა.

დღის დასაწყისში კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებიც გამოჩნდნენ. მათი ლიდერი ტურისტული სააგენტოს ექსპერტ-ზედამხედველი რობერტ მარლაკელიძე გახლდათ, კაცი, რომელსაც ეტყობოდა, რომ ფიროსმანის მადლიანი მიწის თითოეულ გოჯს მთელი არსებით ეთაყვანებოდა. ფიროსმანის მუზეუმის დაარსებიდან 50 წლისთაზე მირზაანის მთავარი სტუმარი სწორედ იგი გახლდათ.

- „ქალბატონ ნელისთან საკმაოდ მრავალწლიანი თანამშრომლობა მაკავშირებს, ვიცი მისი შემართებაც და საქმის სიყვარულიც. მეჯერა, ამჯერადაც თავის სიტყვას იტყვის. ფიროსმანის მუზეუმი გამოცოცხლებას დაინწყებს, აქ ტურიზმი მოიკიდებს ფეხს, რისთვისაც ასე ძალიან ვიღწვით მთელი სააგენტო. წელს საიუბილეო წელია, მრავალი ღონისძიებაა დაგეგმილი და საკადრისად უნდა შევხედოთ, დიდი ღონისძიებები, ანუ, როგორც ახლა ამბობენ გრანდიოზული „ივენტები“ უნდა გავმართოთ, თქვენ იცით, რომ ამჯერად მხატვრის ნახატები პირველი ლედის, ქალბატონი სანდრას ინიციატივით ჰოლანდიამია გამოფენილი,“ - გვიყვება ბატონი რობერტი

- გასაგებია, მაგრამ მხოლოდ ღონისძიებები? - ფიროსმანის 150 წლისთავე დაკავშირებით არის თუ არა დაგეგმილი რაიმე სახის პროექტები მით უმეტეს, ნანახი ცხადყოფს, რომ მუზეუმი სერიოზულ მიხედვას საჭიროებს, ამის გამო ხშირად ტურისტების ნაკლებობასაც განიცდის მირზაანი!

- სწორედ ამისთვის ვარ ჩამოსული, რომ ადგილზე გავეცნო საქმის არსს, მოვისმინო სხადასხვა ინიციატივები, რაც საკმაო სამუშაოს მოიცავს, შედგეს მხოლოდ ინფრასტრუქტურის მონესრიგების შემდეგ მივიღებთ. პირველ რიგში გზა უნდა მოაწესრიგოთ, სიღნაღიდან აქამდე იმდენად დანგრეული გზაა, დამერწმუნეთ, არც ერთი ტურისტი ამ გზაზე არ წამოვა. წარმოიდგინეთ ამხელა გზაზე მოდის ტურისტი და არსად არ არის არც კაფე, არც რაიმე პუნქტი, რომ ისარგებლოს, ცოტა გაერთოს, ამის მაგიერ მას ძალიან ცუდი გზის გამოვლა უხდება, ეს საშინელებაა. დამერწმუნეთ, პრობლემების თავი და თავი სწორედ ეს გზა გახლავთ. უპირაინა, აღნიშნული საკითხი რაიონის დეპუტატთან დააყენოთ, საქმის კურსში უნდა ჩააყენოთ ასევე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც, რათა მათ შესაბამის ღონეზე დააყენონ ამ გზის გაკე-

თების აუცილებლობა. წერილით მიმართეთ და სთხოვეთ ასევე გუბერნატორსაც.

- კი მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ეს გზა სიღნაღს ეკუთვნის, მათ კი, მისი გაკეთება სულ არ ადარდება, მით უმეტეს მაშინ, როცა სიღნაღელები საპატიო სტუმრებთან, ნიკო ფიროსმანის ორიგინალებით იწონებენ თავს. ამას წინათ ჩვენმა პრეზიდენტმა ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტის სიღნაღში უმასპინძლა და ფიროსმანის ნახატებიც იქ დაათვალიერებინა, მისი მშობლიური მირზაანი კი სულ არ გახსენებიათ, ამაზე ჩვენი მოსახლეობა სერიოზულ გულისწყრომას გამოხატავს.

- ყველაფერი ძალიან კარგად მესმის, თუმცა, მაინც ვფიქრობ, არანაირი პრობლემა არ უნდა იყოს იმაში, რომ ფიროსმანი სიღნაღშიცა გამოფენილი. რა გინდათ, გავიდეს ფიროსმანი ყველგან, რაც მეტად გავა მისი ორიგინალები, მით უკეთესი მისი პოპულარიზაციისთვის. მრავალ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ტურიზმის განვითარების კუთხით საკმაო გამოცდილებას ვფლობ. იმისათვის, რომ ტურისტი მოიზიდოს მხატვრის მშობლიურმა სოფელმა, სხვა უამრავი ფაქტორია გასათვალისწინებელი-სველი წერტილები უნდა მოენყოს, რა თქმა უნდა, თანამედროვე სტანდარტების, საჭიროა გაკეთდეს ძველებური სტილის ლვინის მარანი, ისეთი, როგორიც ფიროსმანის

გარემოს შეეფერება, რომელიც ქვევრებითა და ძველი ნივთებით იქნება საესე და, ამავდროულად, კვების ობიექტის ფუნქციას შეითავსებს. ნებისმიერსტუმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ლვინი დალიოს, იყიდოს, სახლში წაიღოს და ნასიამოვნებმა დატოვოს მხატვრის სახლი. აქვე უნდა იყოს პატარა სასტუმროები, რომ ტურისტი ერთი-ორი დღით, ან მთელი კვირით დარჩეს და ახლოს შეიგრძნოს აქაურობის მადლი. ახალგაზრდა მხატვრებს და სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს საშუალება უნდა მიეცეთ, რომ დაჰყონ ფიროსმანის ეზოში და დახატონ მისი ნახატების ასლები, ეს კიდევ უფრო გააღრმავებს ფიროსმანისადმი სიყვარულს ახალგაზრდა მხატვრებში. აუცილებელია, მომზადდეს „ბანერები“, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე უნდა გაკეთდეს, რათა ტურისტი ადვილად მოვიდეს აქამდე. მაკეტები თბილისშიც და სიღნაღშიც ტურისტებისთვის ხელში მისაწვდენად მზად უნდა გქონდეთ. ამ ყველაფერს მუშაობა და გაკეთება სჭირდება. ყველაფერი მხოლოდ თანხებით არ მოდის, მთავარი სწორი დაგეგმარება და გათვლაა. გარემო პირობები უნდა შეიცვალოს და ისეთ მაღალ დონეზე წარმოჩინდეს ყოველივე რაც გვაქვს, რომ ტურისტს მეორედ მოსვლის სურვილი გაუჩნდეს. წინააღმ-

დეგ შემთხვევაში დამერწმუნეთ, დამთვალეირებული მხოლოდ მხატვრის ნახატების და ერთი პატარა სახლის სანახავად მეორედ აქ, ამხელა გზაზე, არ წამოვა. ქალბატონ ნელის კარგად ეხერხება პროექტების წერა და საქმის კეთება. იმედი მაქვს, მისი მონდომება თავისას იზამს!

- ყველაფერი, რაც ბრძანეთ მისასაღებელია რომ გაკეთდეს, მაგრამ, მას დიდხალი თანხები ესაჭიროება. რამდენადაც თქვენამდე მუზეუმის თანამშრომლებს გავესაუბრე, მათ მხოლოდ ბარათზე ერიცხებათ ხელფასები, სხვა ხარჯებისთვის გამოყოფილი არანაირი სახსრები მუზეუმს არ გააჩნია, სწორედ აქ გვჭირდება თქვენი დახმარება, შემდგომ ორგანოებში უნდა იყოს იმის მზაობა, რომ ვინმემ სწორი აზრი და საკითხის მოგვარების აუცილებლობა დაანახოს მათ. მაპატიეთ, რომ ზედმეტად ვიჭრები, მაგრამ მე ადგილობრივი გაზეთის წარმომადგენელი ვარ, გაზეთის, რომელიც ერთადერთი ინფორმაციის წყაროა უბრალო მოსახლეობისთვის, სადაც ისინი რაიონში მიმდინარე პროცესებს ადევნებენ თვალყურს, მე სწორედ ამ მოსახლეობის სახელით ვსაუბრობ, ხალხში არსებობს მოსაზრება, რომ ფიროსმანის მუზეუმში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების და ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის საჭირო თანხები აქედან მოიხსნა და ყვარელში გადაისროლეს. თუ მსო-

ზავილი აქვს, მიმდინარეობს მისი განხილვა და ელოდებიან პროექტის დამტკიცებას. რა მოხდება, პროგნოზის გაკეთება ყველას უჭირს, თუმცა სასურველია, რომ პასუხი დადებითი იყოს.

- „პროექტი, გაგზავნილი გვაქვს, რალაც-რალაცები ამოიღეს, რალაცები ჩამატეს და ველით გენერალური პროექტის დამტკიცებას, ვნახოთ, ჩვენც დიდ მოლოდინში ვართ, ღმერთმა ქნას დაგვიმტკიცდეს, ჩემი აქ მოსვლის ძირითადი მისიაც სწორედ ისაა, რომ ფიროსმანის მუზეუმს საკადრისად მიეხედოს და მას ისეთი პატივი მიეგოს ქართული საზოგადოებისგან, როგორც ეკადრება!“ - აცხადებს ნელი გობეჯიშვილი. ღონისძიებას, რომელიც სწორედ მისი ინიციატივით მხატვრის მშობლიურ სოფელში გაიმართა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმების თანამშრომლები, მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები, სოფელ მირზაანის სკოლის მოსწავლეები, სოფლის რწმუნებული ზურაბ დათუკიშვილი და ფიროსმანის მუზეუმის თანამშრომლები დაესწრნენ. მასპინძელთა შორის გახლდათ ნიკალას მუზეუმის დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ დარგში დავით ნატროშვილი.

ღონისძიებას თავად ნელი გობეჯიშვილი უძღვევოდა, რომელმაც მუზეუმის როლზე და

გახლდათ, რომელმაც ფიროსმანის ნახატების ტრაგიკულ ბედზე გვიამბო. მისგან შევიტყეთ, თუ როგორ ემსხვერპლა 1937 წლის რეპრესიებს ნიკო ფიროსმანის ხალხში გაჩუქებული უამრავი ნახატი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რამდენი ზიანი მოუტანა ქართულ საგანძურს სისხლიანმა 37 წელმა.

- „მაშინ 13 - 14 წლის ბიჭი ვიქნებოდი, ხმა დააგდეს, ფიროსმანი მავნებელი ყოფილაო და ვისაც მაგის ნახატები გაქვთ, ჩქარა თავს უშველეთო, თორემ თუ მის ნახატებს თქვენს სახლში ნახავენ, ცუდად წაგივთ საქმეო,“ შეემინდა ხალხს და ვისაც ჰქონდა ნიკალას ნახატი, ყველამ გამოიტანა სახლებიდან, მეშოკში ჩავეყარეთ და აი იმ ადგილას, თავად ნიკალას ეზოში, ჩემი ხელით მომაკიდებინეს ცეცხლი. სულ დავწვით, მთელი სოფელი იქ იყო!“-მოგიყვება ლექსო ფიროსმანაშვილი, რომელმაც სოფელში გაჭირვების გამო სულ რაღაც 5 წელია მირზაანის სახლი გაყიდა და ბინა სოფელ ხორნაბუჯში (ნითელწყარო) დაიდო. ლექსო პაპა ერთ-ერთი მაგალითია იმისიც, თუ როგორ სწრაფად მიმდინარეობს მიგრაცია მირზაანში. - აქ წამოსვლა ძალიან მიჭირდა, თავს დამნაშავედ ვთვლი, ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის, რომ სოფელში ფუძე მოვიშალე, ჩემს სოფელსაც თვალში როგორ შევხედიო... უთქვამს ქალბატონი ნელისთვის 88 წლის ლექსო პაპას.

ღონისძიებას ესწრებოდა მუზეუმის ყოფილი თანამშრომელი დალი ფიროსმანაშვილი, რომელმაც 17 წელი აქ მუშაობაში გალია, მისი სიტყვები ამალელებელი იყო, - „რა უნდა ვთქვა კაც ლეგენდაზე, კაცი, რომელიც მარტოსულად იყო ცნობილი, კაცი, რომელსაც სიცოცხლის შემდეგ ფუნჯის არნივი უწოდა გოგლა ლეონიძემ, კაცი, რომელიც ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან, კიბის ქვეშ დალია სული. დღეს ნიკო ფიროსმანის მუზეუმის დაარსებიდან 50 წელს ვზიზივით, მინდა გთხოვოთ, შეიყვარეთ, დააფასეთ და მოუფრთხილდით ფიროსმანს. მართალია, ნიკალა სიცოცხლეში იზივით კიბის ქვეშ იყო, მაგრამ ახლა ის ზეცაშია, მან ბინა მთაწმინდაზე დაიდო, სადაც მისი ძეგლი დაიდგა, ის ამას ჭეშმარიტად იმსახურებს. დაე, ამაღლდეს ფიროსმანი თავისი მიწის და ცის ქვეშ, ჩვენ კი, თავს დავხრით მის წინაშე.“

მუზეუმის დღეზე მხატვრის დის (ფეფეს მხრიდან) და ერთ-ერთი ნახატის გამორის „სონა ბებოს“ შთამომავლებსაც ელოდნენ, თუმცა, ისინი, რატომღაც ვერ გვეწვივნენ. იმავე დღეს ფიროსმანის მუზეუმში გიდად იკურთხა მათი ახალბედა თანამშრომელი მარიამ სულაშვილი, რომელმაც ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა ტურისტებს ფიროსმანის შესახებ.

ვტოვებთ მირზაანს და შეგრძენება გვეუფლება, უკან ფიროსმანის სიხარულით აღტკინებული სული მოგვადევს, უხაროდა იქ გაუფლერებული ამბავი - დადგება დრო და ფიროსმანი მშობლიური კუთხიდან საკადრისად წარმოჩინდება, ეს სოფელიც გამრავლდება და აქ ტურიზმი ისე მოიკიდებს ფეხს, რომ მირზაანის ერთი გოჯი მინა მილიონებად დაფასდება, ისე, როგორც დღეს მხატვრის ნახატები.

ლალი მხრინიშვილი



ფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხა უკვე სხვა პროექტებში გაინერა, მაშინ იმედი უნდა გადავიწყოთ და უახლოეს მომავალში სასიკეთოს აღარაფერს ველოდო!

- ვფიქრობ, ეს ასე არ მოხდება და სიტუაციიდან გამოვალთ. სწორედ ამიტომ ვუსწრებ წინ მათ ვიზიტს და ვაკეთებთ მონახაზს, რომ სანამ ჩამოვა გენერალური გეგმა, რა არის გასაკეთებელი, წინასწარ გვეკონდეს გათვლილი და მომზადებული. ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს სოფელი ძალიან მალე გაძლიერდება, გამრავლდება. აქ ტურიზმი ისე მოიკიდებს ფეხს, რომ სიღნაღივით მასზე ბუმი ატყდება და მინის თითოეული გოჯი, რომელიც ახლა კაპიკების ფასშია, მილიონებად შეფასდება და გაიყიდება. - აცხადებდა ბატონი რობერტი.

რამდენადაც ჩვენთვის თავად ნელი გობეჯიშვილისგან გახდა ცნობილი, მას ფიროსმანის სახლ-მუზეუმის სარესტავრაციო პროექტი უკვე გაგ-

მის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „რაიონში სულ სამი მუზეუმია, მათ შორის ფიროსმანის სახლ-მუზეუმის პატარა სახლი 1962 წელს, ხოლო დიდი მუზეუმი 1975 წელს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. დღემდე მხატვრის 11 ორიგინალი ტილო ინახება მუზეუმში, 2 ნახატი სარესტავრაციოდაა გასული, ხოლო 2 - სიღნაღის მუზეუმშია დროებით. მუზეუმებს დიდი ისტორია აქვთ, თუმცა ისინი ჩვენგან მიხედვას საჭიროებენ, დღემდე ვეძებთ ფიროსმანზე სიახლეებს, იმედს ვიტოვებთ, ოხანში აღმოჩენილი მარნის კარი, რომელზეც დადგინდა, რომ ფიროსმანის წარწერაა და რომელიც მამა ლაზარეს ლოცვა კურთხევით ჩვენს მუზეუმს ნებაყოფილებით უნდა გადმოეცეს, სიკეთით ჩამთავრდება. თავად მხატვრის შესახებ კი ახალი ინფორმაცია მოვიპოვეთ.“

მუზეუმების დღეს ღონისძიების ერთ-ერთი უზუცესი სტუმარი სწორედ მირზაანელი 88 წლის ლექსო ფიროსმანაშვილი

24 მაისი - ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისი ოზანის ამაღლება

ქალაქ სიღნაღის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ცივის მთის კალთებზე ხევებითა დახრამული და თანდათანობით უფროდება მდინარე ალაზნის ვრცელ ველს. ერთ-ერთ კალთაზე, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ოზანთან 3 კილომეტრზე, მცირე ტყეს შეფარებია ქართული არქიტექტურის მეტად საყურადღებო ძეგლი, ოზანის „ამაღლების“ ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი. ეს ეკლესია ბოდბის „წმ. ნინოს“ მონასტრის და ხირსის „წმ. სტეფანეს“ ეკლესიის შემდეგ მნიშვნელოვანი საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლია ქიზიყში.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოისა საქართველოსა“ (XVIII ს.). „ამაღლების“ ეკლესიას არ იხსენიებს, მაგრამ მისი „აღწერის“ ერთ-ერთი გადაწერილი დავით ინანიშვილი (1861 წ) ქიზიყის აღწერისას უმატებს, რომ „ხორნაბუჯის“ ჩრდილოეთ მთაში არს ეკლესია ამაღლებისა კეთილმშვენიერი ნაგები გუმბათიანი, შეუმუსრავი და დახატული”

„ამაღლების“ ტაძარი დგას ტყის შუაგულში მოქცეულ პატარა მიწოდზე. ის აგებულია მთლიანად აგურით, იატაკსა და სახურავზე გამოყენებული ყოფილა მოჭიქული კერამიკის ფილები, რომელიც უჩვეულო მაგალითია ქართულ ისტორიულ არქიტექტურაში. მისი ანალოგიები სხვა ძეგლებზე არ მოიპოვება. ამ კერამიკის ფრაგმენტები გაბნეული იყო ირგვლივ მდებარე ტყეში, მისი ნაწილი და აქვე აღმოჩენილი სამეურნეო ჭურჭელი ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ტაძრის შემორჩენილი კანკელი შესრულებულია უდადესი ოსტატობით და ხელოვნებით. დიდ ინტერესს იწვევს ფრესკები. მათი იკნოგრაფიული სქემებიც მუზეუმშია დაცული. შემონახულია შესანიშნავი მხატვრის მოქალაქის მიერ შესრულებული ასომთავრული წარწერა: „ქრისტე ღმერთო, შეუნდვენ მოქალქს, ამინ“

ოზანის „ამაღლების“ ეკლესიის მშენებლებს ჩაუქსოვებით იმ დროისათვის ყველაზე საუკეთესო, მშვენიერი გათვლილი და გაანალიზებული ხუროთ-

მოძღვრება, საუკეთესო ფერწერა, მოჭიქული კერამიკა იატაკსა და სახურავზე, ბრწყინვალე ჩუქურთმიანი კანკელი, როგორც ჩანს მისი მშენებელი არც სახსრებს იშურებდა და ფრიად დიდი მხატვრული გემოვნებითაც გამოირჩეოდა. სამწუხაროა, რომ არ შემორჩა ქტიტორთა (ქტიტორი ბერძნული სიტყვაა და ნიშნა-



ვს დამფუძნებელს, შემქმნელს, — პიროვნებას, რომლის ხარჯითაც შენდება ეკლესია. გამოსახულებანი, რაც მიგვითითებდა ქიზიყის ისტორიაზე, იმ დროზე და სოფელზე, რომელსაც ეკუთვნოდა ეკლესია.

აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინიშვილმა, მიაქცია რა ყურადღება ეკლესიის მეტად დაბალ გუმბათის ყელს, თაღების ნაღისებურობას და სხვა დეტალებსაც, ოზანის „ამაღლების“ ეკლესია IX-X საუკუნეებით დათარიღდა. კედლებსა და თაღზე შემონახული ფერწერული ნიმუშები შესრულების მანერით ძალზე ჰგვანან ყინვისისა და ვარძიის (XII-XIII საუკუნეების თამარის ეპოქა) ეკლესიების ფრესკებს და მხატვრობით არ ჩამოუვარდებიან მათ. ეკლესიას ეტყობა XVI საუკუნის ალექსანდრე კახთა მეფის დროინდელი გადაკეთების კვალი.

1898 წელს გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „ა.ნ.“ — მკვლევარი და პუბლიცისტი ანტონ ნატროშვილი (წარმოშობით დე-

დოფლისწყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანიდან იყო) წერს:

„საჭიროა აღდგენა და განახლება დიდებულია წმინდა ამაღლების მონასტრისა, რომელიც ჯერ კიდევ მთლად სდგას. ეს მშვენიერის ხელოვნების მონასტერი ჯერად არ ცნობილი ჩვენს და უცხო მწერლობაში, მდებარეობს ქიზიყში, სოფ.

ბილა მოჩანს. შესაძლებელია, ამ პროტესტებს გულისხმობდა ანტონ ნატროშვილი თავის მოსაზრებაში. საგარეოდ, სვეტზე გამოსახული იყვნენ თამარი, დავით სოსლანი და მათი შვილი ლაშა. იქნებ, ისტორიას ქიზიყმაც შემოუნახა თამარ დედოფლის სახე!

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ლოვარდი ტუხაშვილი წერდა: „ამაღლება“ ენოდება სოფელ ოზანის მახლობლად მდებარე უძველეს ქართულ ტაძარს. სამეცნიერო ლიტერატურაში მას ეძახიან „ოზანის ამაღლებას“. ამაღლება ეს არის ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც იმართება აღდგომის მე-40 დღეს, როცა იესო ქრისტე თავის მონაფეთა თვალნი ამაღლდა ზეცად. ამაღლების დღესასწაული გავრცელებულია, სადაც კი სწამთ ქრისტე.

ოზანის „ამაღლება“ ქართული არქიტექტურის უბრწყინვალესი ძეგლია. საინტერესოა, რა ენოდებოდა ამ ადგილს, სანამ მასზე აიგებოდა ქრის-

ტიანული დღესასწაულის „ამაღლების“ სახელობის ტაძარი? ადგილობრივი მოსახლეობა რამდენიმე სახელით მოიხსენიებს: „რჯულისთავი“ „ხოდაბუნა“ „ყუდრო“ „ზვარე“, „ვაკე“ „ვანანა“. ჩვენი აზრით ორი უკანასკნელი დასახელება, ასე თუ ისე, მიგვანიშნებს ტაძრის ნამდვილ სახელწოდებაზე. კახეთის ეკლესია-მონასტრების შესახებ რამდენიმე აღწერა დაგვიტოვა იტალიელმა მისიონერებმაც. ერთ-ერთ აღწერაში ვკითხულობთ, რომ ქიზიყში არსებობს ამაღლების საყდარი, სადაც ზის ეპისკოპოსი ვანანელი. მასასა-დამე, ამაღლების ტაძარს წინათ ერქვა „ვანანის“ ამაღლების სახელობის ტაძარი. ტოპონიმი „ვანანა“ შემორჩა ადგილობრივთა მიერ დამახინჯებული ფორმით „ვანანა“. დღეს, იგი ეწოდება მხოლოდ ტყეს. რით უნდა აიხსნას, რომ ამაღლების ძველი სახელწოდება დაკარგულია? — ალბათ XVII საუკუნის I მეოთხედში მოსახლეობის კატასტროფული შემცირებით. რაც შეეხება მის ახლომდებარე სოფლებს ოზანსა და ცლუნკანს, ისინი აქ და-

სახლდნენ შედარებით მოგვიანებით. ნაწილი მოვიდა მეზობელი სოფლებიდან, განსაკუთრებით მირზახანიდან, ნაწილი კი გადმოიხსნა ქვემო ქართლიდან. მათი ცალკე სოფლებად ფორმირება უნდა მომხდარიყო მე-17 - 18-ე საუკუნეების მიჯნაზე, ქართლში ერეკლე I-ის მეფობის დროს. ერეკლე I კახეთის უფლისწული იყო ირანის შაჰის მიერ ქართლში დასაშული. მიუხედავად იმისა, რომ ქართლის მეფე იყო, მაინც ხელს უწყობდა კახეთის აღორძინებას, რომელსაც ის თავის ნამდვილ მამულად თვლიდა. მან გასცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ქართველებს თავისუფლად უშვებდნენ კახეთში დასახლებულად. ერეკლე I-ის გადაყენების შემდეგ ქართლის მეზობრებმა დაიწყეს კახეთში შემოხიზნული ქართლებების აყრა, მაგრამ განაზრახი მთლიანად ვერ შეისრულეს. სწორედ მაშინდელია ქიზიყში არსებული ქართლური გვარების სიმრავლე.


მასასადამე, ამაღლებას ჰქვია „ვანანის“ „ამაღლების“ სახელობის ტაძარი.“

ოზანის „ამაღლების“ ეკლესია, ხირსის მონასტერთან ერთად, წარმოადგენდა ქართული კულტურის კერას, სადაც წირვა-ლოცვასთან ერთად ქიზიყელი ახალგაზრდები ისმენდნენ საუბრებს საქართველოს ისტორიაზე, ქართულ ლიტერატურასა და მსოფლიო ხალხების კულტურულ მიღწევებზე.

კარგი იქნება, კვლავ ჩატარდეს არქეოლოგიური კვლევა, რათა ფარდა აეხადოს ტაძრის ისტორიაში დამალულ ჭეშმარიტებას, ქართული სულიერების ფესვებს, რომელზედაც აღმოცენებულია ჩვენი ანწყო და მომავალი.

სსოჴნა

მიხეილ ბარსანიშვილი



ჩემო მიხეილ, 26 მაისი შენი დაბადების დღეა, 82 წელი შეგისრულდება, მაგრამ 16 წლის უკან დაგვტოვე და შენმა სულმა სამუდამო სასუფეველში

გადინაცვლა. მას შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში. შენ მხოლოდ ერთ შვილიშვილს, ლელას შეესწარი, რომელმაც წელს სკოლა დაამთავრა და თავისი გზა აირჩია. შენი შვილები ყველა კარგად არიან, დღეს შენ უკვე ხუთი შვილიშვილის პაპა ხარ. ყველანი გილოცავენ და დაბადების დღეს, ჩემო სიცოცხლეში მშრომელო და ოჯახის სიყვარულით დაულალავო მიხეილ! დაბადების დღეს გილოცავენ შენი დოღო, ქეთინო და დავითი, სიმე- დიმიტრი და რძალი- ირმა. ილოცე შენი შვილების და შვილიშვილებისთვის!

შენი მეუღლე,
ესმა ბარსანიშვილი.

მონატრება

ნუგზარ მარაბლიშვილი

ვაი, რა ავბედითი დილა იყო 27 მაისი ჩვენი ოჯახისათვის. დედ-მამას შვილი ხელეშში ჩაგვაკვდა და ვერაფერი ვუშველეთ. ოთხი წელი შესრულდა, შვილო ნუგზარ, რაც შენმა სიკვდილმა დაგვიჭრა ყველას გულზე, რომლის შემთვლება არასოდეს არ შეიძლება. დატოვე ოჯახი დამნუხრებული, ცრემლის მორევში ჩამხვრეული. სიკვდილთან გამოსხვედი დამარცხებული და მონატრების სურვილით ალუვსებულმა გაუსაძლისი ტკივილებით გადაინაცვლე უფალთან სამარადუამოდ. ალბათ, იქ დაიოკე შენი მონატრების წყურვილი. ჩვენ კი ისევ ყურებში ჩაგვემის შენი ნაღვლიანი ხმით ძახილი „გოო“, რომელზეც მზე აგდიოდ-ჩაგდიოდა. ვენაცვა-

ლე განგებას, მთლად არ გავწირა და შენი სახით შეგვახვედრა შენი 22 წლის ვაჟკაცი დიტო, რომლითაც ვხარობთ, რომელიც შენი ყველა ჩვევის განსახიერებაა, დიტო თავისი კეთილშობილური საქციელით ცოტათი მაინც კურნავს შენს მიერ დაჭრილ ჩვენს გულს. შენს დაბადების დღეზე - 12 ივლისისთვის ჩამოდის, რომ მამის საფლავს მოეფეროს. ხშირად მოდიან შენს საფლავთან შენი მეგობრები, ახლობლები, გისხენებენ და ენატრები. ნათელში იყოს შენი კეთილი სული, ჩვენო უსაყვარლესო შვილო, ნუგზარ!

ბაღურა, ციციწო,
დიტო, ბაქანი, ნანა
მარაბლიშვილი.
ქალაქი დედოფლისწყარო

ლალი ბასილაშვილი,
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველი.

ქართული გენის ზეიმი

ეროვნული ცეკვა ნებისმიერი ხალხის ისტორიას და ტრადიციებს ასახავს, მასში ყველაზე ხალასადაა განსხვავებული ეროვნული სული. ქართველი ხალხის ტემპერამენტზე, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებზე, ისტორიაზე თავისთავად მეტყველებს ცეკვის თითოეული ილეთი. ის საუკეთესოდ გამოვლენს ომში გამარჯვებისა თუ დამარცხების დროს განცდილ ემოციას, სიყვარულის არაერთი ისტორიის შესახებაც შესტების ენაზე მოუთხრობს მყურებელს. თავიანთი გრაციოზული მოძრაობებით უამრავი ქვეყნის წარმომადგენელი აღუფრთვანებია ქართველ მოცეკვეებს, ზოგიერთი მყურებლისთვის კი გულწრფელი ცრემლიც მოუგვრიათ. ბევრი

უცხოელი სწორედ ქართული ცეკვის ნახვის შემდეგ დაინტერესებულა ჩვენი ქვეყნითა და მისი კულტურით, მოგვიანებით კი ტურისტის სტატუსით სწვევია საქართველოს. დიახ, ტყუილად კი არ ამბობენ, სანამ საქართველოში იარსებებს ქართული ცეკვა და სიმღერა, სანამ ახალგაზრდები დაინტერესდებიან მათით, მანამდე ქართულ გენს გადაშენება არ უნერია.

სწორედ „როკვაში განფენილი ქართული გენის“ ზეიმი იყო 22 მაისს. დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიულმა

ვან ხუნაშვილი) კულტურის სახლის სცენაზე კონცერტი გამართა. ქართული ცეკვის ცეცხლი დაანთეს ნორჩმა აღსაზრდელებმა, რომელთაც ენერჯია არ დაიშურეს მისთვის, რომ მაყურებლისთვის თავი მოეწონებინათ. ამით ანსამბლის ხელმძღვანელმა და მოცეკვავეებმა ერთგვარი ანგარიში ჩააბარეს დედოფლისწყაროს მოსახლეობას და კიდევ ერთხელ უჩვენეს მათ ერთი

ნლის ნაშრომი. ლევან ხუნაშვილმა 1981 წელს ჩამოაყალიბა დედოფლისწყაროში ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელსაც შეფობას ლევანდარული ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი უწევდნენ. ანსამბლის ხელმძღვანელსა და მის აღსაზრდელებს არაერთი წარმატებული საგასტროლო ტურნე ჰქონდათ პოსტსაბჭოთა სივრცის თითქმის ყველა ქვეყანაში. დღეს ამგვარი პედაგოგი მომავალ თაობას კვლავ ასწავლის ცეკვას და ამბობს, რომ ანსამბლი „ხორნაბუჯი“ მომავალში უამრავ სიურპრიზს შესთავაზებს მყურებელს, რაც რაიონის ისტორიაში სასიამოვნო სახლის დასაბამიც იქნება.



ანსამბლმა „ხორნაბუჯი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ლე-

ინგა შიოლაშვილი

ყურადღება, სიასლე!

სამედიცინო ცენტრში ფუნქციონირება დაიწყო ლაზერული ფიზიო-თერაპიის კაბინეტმა

დაბალინტენსიური ლაზერი მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის მაღალეფექტური, უსაფრთხო და საუკეთესო საშუალებაა.

მკურნალობის ფართო სპექტრი:

- გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები: ჰიპერტონული დაავადება, მიოკარდიტი, არითმია, სტენოკარდია, თავის ტვინის, ზედა და ქვედა კიდურების სისხლძარღვოვანი დარღვევები (თავის ტვინი, თავბრუსხვევა, შუილი), ტროფიკული წყლულები.
- სასუნთქი სისტემის დაავადებები: ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა, პნევმონია.
- კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებები: კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, კოლიტი.
- ნერვული სისტემის დაავადებები: ოსტეოქონდროზი, ნევრიტები, რადიკულიტი, იზიაზი, პერპესი, სახისა და სამწვერა ნერვის ანთება.
- გინეკოლოგიური დაავადებები: საშვილოსნოს და დანამატების ანთებითი პროცესები, ეროზია, უშვილობა კომპლექსურ მკურნალობაში.
- ურო-ნეფროლოგიური დაავადებები: ცისტეიტი, ურეთრიტი, პროსტატიტი, პიელონეფრიტი, ნეფრიტი.
- ყელ-ყურ-ცხვირი და სტომატოლოგიური დაავადებები: ტონზილიტი, რინიტი, ჰაიმორიტი, პაროდონტოზი, ფრონტიტი.
- დერმატოლოგია: დერმატიტი, ფსორიაზი, ალოპეცია, კოსმეტიკური ოპერაციის შემდგომი პერიოდი.
- ენდოკრინოლოგია: შაქრიანი დიაბეტის გართულებები, ჰიპოთირეოზი.
- ქირურგია: მოტეხილობებისა და ჭრილობების აღდგენა და დროული შეხორცება, რევმატოიდული ართრიტი და ართროზი.

ქიდევი ერთი სიასლე: ყველა დაავადების დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ ინტრავენური (შიდავენური) ლაზერი, რაც სისხლის ჟანგბადით მომარაგებას უწყობს ხელს. ლაზერით მკურნალობა მიმდინარეობს მედიკამენტების გარეშე ან მათი მცირე რაოდენობის გამოყენებით.

პირველი კონსულტაცია უფასოა. კაბინეტი მუშაობს ქ.თბილისის ლაზერის ცენტრის ხელმძღვანელის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ქალბატონ ლ. მარსაგიშვილის მეთოდური ხელმძღვანელობით.

თქვენ მოგიმსახურებთ გამოცდილი ექიმი, ლაზერო-თერაპევტი მარინა ქორიძე. მსურველებს მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქუჩა №18.

იყიდება!

მრავალი სახეობის ყვავილი და ჩითილი. მსურველებმა მიაკითხეთ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, ლომის ქუჩა №7. იკითხეთ თამარი

ტურნირი მინი - ფეხბურთში

17-18 მაისს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ეგიდით ქალაქ დედოფლისწყაროში მოეწყო შიდა ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში, სადაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი მონაწილეობდა. დამატულ ფინალში ერთმანეთს სოფელ ზემო ქედისა და ქალაქ დედოფლისწყაროს გუნდი „ვარსკვლავები“ შეერკინენ. მსაჯის მიერ დანიშნულ დამატებით დროში სოფელმა ზემო ქედმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა მეტოქე. ტურნირი კულტურისა და სპორტის ცენტრის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

შიდა ტურნირში გამარჯვებული გუნდი შემდგომ ეტაპზე კახეთის რეგიონის ჩემპიონატში იასპარეზებს, ხოლო კახეთის მასშტაბით საუკეთესო გუნდი საქართველოს ჩემპიონატში. საქართველოს ჩემპიონატ გუნდს მინი - ფეხბურთში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 5 000 ლარით, მედლებით და დიპლომებით დააჯილდოვებს.

აღნიშნული ტურნირის მიზანია, მოსახლეობის ფართო ფენებში, რეგიონებში და ქალაქებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მინი-ფეხბურთის პოპულარიზაცია, გამარჯვებული გუნდებისა და საუკეთესო მოთამაშეების გამოვლენა.

კიკ-ბოქსინგში

20 მაისს ქ.თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კიკ-ბოქსინგში. ამ ტურნირზე მონაწილეობას იღებდა საქართველოს კლუბები და აზერბაიჯანის და სომხეთის ნაკრები გუნდები. შეჯიბრებაში დედოფლისწყაროელი სამი სპორტსმენი მონაწილეობდა და საკმაო წარმატებითაც, სამიდან ორი სპორტსმენი ჩემპიონი გახდა ხოლო ერთი მესამე ადგილზე გავიდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლევან ნიკოლაურის ბრძოლები, რომელმაც სამი ორთაბრძოლა სრული უპირატესობით მოიგო და დამსწრეთა დიდი მონონებაც დაიმსახურა. ერთ დღეში სამი ბრძოლის მოგება საკმაოდ რთულია და ძლიერ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას მოითხოვს, რასაც ლევანმა კარგად გაართვა თავი. ასევე აღსანიშნავია ნიკა ლეკაშვილის გამოსვლა, რომელმაც ლამაზი ტექნიკური ბრძოლა აჩვენა. ის მხოლოდ ერთი თვეა, ვარჯიშობს და დამსახურებული მესამე ადგილზე სჯდა წილად. ასევე ჩემპიონი გახდა გიორგი მარტყოფლიძე, რომელმაც თბილისის წარმომადგენელი დაამარცხა და ჩემპიონიც გახდა.



გიორგი ცისკარაული

ამინდი		დედოფლისწყარო											
შაბათი	26.05	კვირა	27.05	ორშაბათი	28.05	სამშაბათი	29.05	ოთხშაბათი	30.05	ხუთშაბათი	31.05	პარასკევი	01.06
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
21°	17°	20°	17°	18°	16°	19°	16°	22°	21°	19°	17°	22°	18°

გამომცემელი შპს „მედი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპოვაშვილი
წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მებრივიძე, ილია მარტყოფლიძე (კორესპონდენტები); მინაილ მუხარბიძე (სტილისტ-მწერელი); ნათელა შოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწვეველი); მზინა ქანჭავაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „მორაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.